

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების
(DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის მესამე შეხვედრის ოქმი**

შეხვედრის დღის წესრიგი:

- 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის პროექტის ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები;
- კითხვა-პასუხი / დისკუსია.

ესწრებოდნენ:

- გენადი არველაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
- ნოდარ კერესელიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- გიგი გიგიაძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- არჩილ ყარაულაშვილი - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნიკოლოზ ხუნდაკიშვილი - DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე;
- ნატო ჩიქოვანი - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- მიხეილ ჭელიძე - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი;
- ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე;
- გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი - საქართველოს ბიზნეს საბჭოს პროექტების დირექტორი;
- ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
- თუთანა კვარაცხელია - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის ანალიტიკოსი;
- ირმა ხვედელიანი - კერსო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ლევან სილაგავა - მწარმოებელთა ფედერაციის პრეზიდენტი;
- თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელი;
- ბესო ნამჩავაძე - საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) ეკონომისტი;
- მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენელი;

- ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი;
- ვახტანგ კობალაძე - ევროპის ფონდის პროგრამის უფროსი მენეჯერი;
- ნიკოლოზ გოგილიძე - სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტი“ თავმჯდომარე;
- ქეთევან ზუკაკიშვილი - სსიპ კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის I კატეგორიის მრჩეველი;
- მაკა ხვედელიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- დიმიტრი გულისაშვილი - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
- გიზო ჭელიძე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მდგრადი განვითარებისა და ევროინტეგრაციის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
- ანა მაისურაძე - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

განხილული საკითხები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ბატონმა გენადი არველაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას აქტიური მონაწილეობისთვის და წინასწარ გაზიარებულ ასოცირების დღის წესრიგის პროექტის პრეზენტაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციებისთვის.

ბატონმა გენადი არველაძემ DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა პრეზენტაცია 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის პროექტის ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

აღნიშნული პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია და დაისვა შეკითხვები ასოცირების დღის წესრიგის პროექტით აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კერძოდ,

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორმა ლია თოდუამ ბაზრის ზედამხედველობასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ საჭიროა მითითებულ იქნას ბაზრის ზედამხედველობის ამოქმედება. ბატონმა გენადი არველაძემ განმარტა, რომ უკვე ჩამოყალიბებულია სააგენტო, რომელიც ფუნქციონირებს და გააჩნია უფლებამოსილება ბაზრის ზედამხედველობაზე. მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რისი მიღების შემდეგაც ინდუსტრიულ პროდუქტებზე დაიწყება ბაზრის ზედამხედველობის განხორციელება, მთავრობის მიერ განსაზღვრულ პროდუქტებზე და ასევე ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებათა პროექტი გაზიარებულია როგორც არასამთავრობო, ასევე საჯარო და

კერძო სექტორთან, მათ შორის ამ საკონსულტაციო ჯგუფის წევრებთან. რაც შეეხება მომხმარებელთა უფლებების სფეროში ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, ბატონმა არველაძემ დამატებით აცნობა შეხვედრის მონაწილეებს, რომ მიმდინარეობს მუშაობა შეთანხმებით განსაზღვრულ 2 დირექტივასთან¹ დაახლოების მიმართულებით, რათა 2016 წლის ბოლომდე შესრულდეს ეს ვალდებულებები.

დაისვა შეკითხვა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაზეც განიმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არ ხვდება DCFTA-ით დაფარულ სფეროებში ვინაიდან არ წარმოადგენს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხს.

ბატონმა ვახტანგ კობლაძემ წარმოადგინა ევროპის ფონდის რეკომენდაცია სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომების ნაწილს დაემატოს რისკის შეფასების სისტემის გაუმჯობესება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ნოდარ კერესელიძემ მიაწოდა ინფორმაცია, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია, გაიმიჯნა რისკის შეფასება და რისკის მართვა და ორი სხვადასხვა უწყების კომპეტენციას წარმოადგენს: რისკის შეფასება სამეცნიერო კვლევით ცენტრის, ხოლო რისკის მართვა სურსათის - ეროვნულ სააგენტოსი. ასოცირების დღის წესრიგში მიზანშეწონილი არაა ამ საკითხის ჩამატება, ვინაიდან რეფორმა უკვე განხორციელებულია და დღეს საჭიროა სისტემის სრულყოფა და შესაძლებლობების ზრდა. ამასთან დაკავშირებით დონორებთან უკვე არსებობს შეთანხმება და მიმდინარეობს სისტემის დახვეწა. ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით მსჯელობის მიზნით, **გადაწყდა**, გაიმართოს შეხვედრა სადაც დაწვრილებით იქნება განხილული აღნიშნული საკითხი.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) ეკონომისტმა ბესო ნამჩავაძემ „ბრექსიტის“ მოვლენებთან დაკავშირებით, დასვა შეკითხვა თუ რა ნაბიჯებია გადადგმული და რა იგეგმება საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნების მიმართულებით, რაზეც გაკეთდა განმარტება, რომ ქართული მხარე აკვირდება პროცესს, დიალოგი ორმხრივი შეთანხმების შესახებ არ მიმდინარეობს, ვინაიდან ბრიტანული მხარე ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული რა ფორმით გამოვა ევროკავშირიდან.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა გენადი არველაძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია DCFTA-ის ვებ-პორტალის შესახებ, რომელიც წლის ბოლოს გაეშვება და მოიცავს ყველა ინფორმაციას, რაც DCFTA-ის და მის განხორციელებას უკავშირდება, სადაც განთავსდება ყველა საკანონმდებლო ცვლილება და კანონქვემდებარე აქტები, ასევე მათი პროექტები კომენტარებისთვის.

¹ 2006 წლის 11 მაისის ევროკომისიის 2006/502/EC გადაწყვეტილება რომელიც წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს მიიღონ ზომები და უზრუნველყონ, რომ ბაზარზე განთავსდეს მხოლოდ ბავშვისთვის უსაფრთხო, დამცავი მექანიზმის მქონე სანთებულები და აკრძალონ ბაზარზე ინოვაციური სანთებულების განთავსება.

2. 1987 წლის 25 ივნისის საბჭოს 87/357/EEC დირექტივა წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების შესახებ იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც, აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში სხვა პროდუქტებია და საფრთხის ქვეშ აყენებენ მომხმარებელთა ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას.